

წლიური ანგარიშები

2018-2019 აკადემიური წელი



კავკასიის უნივერსიტეტი

სარჩევი

სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი 3	
ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი.....	10
პერსონალის მართვის დეპარტამენტი	13
მარკეტინგის და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი	16
IT დეპარტამენტი	22
კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი.....	25
სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი.....	28
სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახური	29
კარიერული განვითარების და დასაქმების ხელშეწყობის სამსახური	33
ლოგისტიკის სამსახური	35
საერთაშორისო აკრედიტაციის სამსახური.....	37
მეწარმეობის განვითარების ცენტრის და სტატრაპაქსელერატორ C10	40



სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

კავკასიის უნივერსიტეტის ერთ-ერთ სტრატეგიულ პრიორიტეტს განათლების ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, სხვადასხვა მიმართულებით აქტიურად მუშაობს. კერძოდ, მისი საქმიანობის სფერო მოიცავს შემდეგს: სტუდენტთა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობას, ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, საერთაშორისო ქსელებსა და ინსტიტუტებში გაწევრიანებას, მოკლევადიანი სასწავლო კურსების, საზაფხულო და სასტიპენდიო პროგრამების შეთავაზებას სტუდენტებისა და პერსონალისთვის, ახალი პარტნიორების მოძიებას, თანამშრომლობის მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების გაფორმებას, ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად ინსტიტუციური და კვლევითი პროექტების განვითარებას.

2017-2018 აკადემიური წლის განმავლობაში, დეპარტამენტის მუშაობის შედეგად, უნივერსიტეტს შეემატა 21 ახალი პარტნიორი უნივერსიტეტი მსოფლიოს 19 ქვეყნიდან. თანამშრომლობის ხელშეკრულება განახლდა ოთხ უნივერსიტეტთან. ერაზმუსის + მობილობის პროექტის ფარგლებში 2017 წლის შემოდგომის სემესტრში დეპარტამენტს დაემატა 4 ახალი პარტნიორი საფრანგეთიდან, თურქეთიდან, ესპანეთიდან და პოლონეთიდან.

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს დაახლოებით 30 სახის ღონისძიებაში-კონფერენციებში, 5 საერთაშორისო გამოფენაში, 5 საერთაშორისო კვირეულში, რომლებიც ჩატარდა ერაზმუსის პარტნიორ უნივერსიტეტებში: საფრანგეთში, ესპანეთში, ავსტრიასა და თურქეთში. გარდა ამისა, მასპინძლობა გაეწია 22 უცხოელ სტუმარს. საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტმა ხარისხის ცენტრში გააგზავნა მოთხოვნა და სრულად დაარეგისტრირა 115 პარტნიორი უნივერსიტეტის ხელშეკრულება.



საგრანტო პროექტები

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტმა მოიპოვა ოთხი მნიშვნელოვანი საგრანტო პროექტის დაფინანსება: INTEGRITY, E-Fix, „ტურიზმის განვითარება და კულტურა“, „მედია განათლებისა და პოლიტიკური დიალოგის პერსპექტივების შეცვლა“.

2017 წლის 25 ოქტომბერს გამოცხადდა ევროკავშირის ერაზმუს+ კონკურსები. აღნიშნული კონკურსებით დეპარტამენტმა უზრუნველყო 10-მდე პროექტში ჩართულობა. გარდა აღნიშნულისა წარდგენილ იქნა დამატებით სამი საპროექტო განაცხადი USAID, GIZ და NUFFIC- ის კონკურსებში.

დეპარტამენტმა წარმატებით დაასრულა UNDP -ის მიერ დაფინანსებული COBERM-ის პროექტის- confidence between ASU and CU academics and building elements of peace studies curriculum in ASU” განხორციელება.

პროექტ AESOP- ის ფარგლებში ამოქმედდა ომბუცმენის ოფისი და ჩამოყალიბდა სტრუქტურა, რომელიც მოამზადებს ომბუდსმენის ოფისისთვის საჭირო დოკუმენტებს. ამავე პროექტის ფარგლებში დეპარტამენტმა უზრუნველყო 17 ახალი “All in Ones” მოდელის კომპიუტერული ტექნიკის შექმნა, რომლითაც აღიჭურვა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა.

პროექტ PESTUGES-ის ფარგლებში 2017-2018 წლის განმავლობაში დეპარტამენტმა უზრუნველყო 2 ტენდერის გამოცხადება და ტექნიკისა და წიგნების შესყიდვა, პროექტში მონაწილე 4 ქართული უნივერსიტეტისთვის.

პროექტ EUCA Invest-ს ფარგლებში დეპარტამენტმა უზრუნველყო 4 საერთაშორისო სასწავლო ვიზიტი სტარტაპ აქსელერატორის C10 მენეჯერისთვის. აღნიშნული პროექტის ფარგლებში გამოცხადდა სტუდენტური კონკურსი საუკეთესო სტარტაპ იდეების მქონე 10 სტუდენტის გამოსავლენად. გამარჯვებული სტუდენტები მივლინებულ იქნენ მინჰოს უნივერსიტეტში (პორტუგალია) და მასარიკსის უნივერსიტეტში(ჩეხეთი).

პროექტ Integrity -ს ფარგლებში კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა და დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სამ ღონისძიებაში (Kick off, Netional Meeting, ToT) რის შედეგადაც, უცხოელი პარტნიორებისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საუკეთესო გამოცდილებებზე დაყრდნობით შემუშავდა და ჩატარდა 2 Moodle და 1 Turnitin, 1 აკადემიური წერის ტრენინგი კავკასიის უნივერსიტეტის ლექტორებისა და თანამშრომლებისათვის, შემუშავდა და და ჩაიწერა 2 ვიდეო ინსტრუქცია (ლექტორებისა და სტუდენტებისათვის) ქართულ ენაზე.



დეპარტამენტმა, ასევე შეიმუშავა საგრანტო განაცხადების წარდგენის წესი, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტის თანამშრომლების, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მიერ საგრანტო პროექტების ინიცირებისა და წარდგენის პროცედურებს.

გაცვლითი პროგრამები

2017 წლის სექტემბერში, Erasmus+ ის ახალი კონკურსის ფარგლებში, დეპარტამენტმა მიიღო 11 ევროპული ქვეყნის დაფინანსება 15 უნივერსიტეტიდან, ადგილები მობილობის განსახორციელებლად გადანაწილდა შემდეგნაირად:

- 44 წამსვლელი სტუდენტის რაოდენობა სამივე საფეხურზე;
- 25 წამსვლელი აკადემიური პერსონალის მობილობა;
- 19 წამსვლელი ადმინისტრაციული პერსონალის მობილობა.

2016-2017 წლებში ერაზმუს+ ის პროგრამის ფარგლებში მიღებული დაფინანსებითა და საერთაშორისო გაცვლითი პროგრამით, 2017 წლის შემოდგომისა და 2018 წლის გაზაფხულის სემესტრებში, კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტები (სულ 35) მივლინებულ იქნენ პოლონეთის, იტალიის, საფრანგეთის, ავსტრიის, გერმანიის, ჰოლანდიის, ლიტვის, ლატვიის, რუმინეთის, თურქეთის, უნგრეთის, ესტონეთისა და ამერიკის უნივერსიტეტებში.

2017 წლის შემოდგომისა და 2018 წლის გაზაფხულის სემესტრებში, სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტმა უმასპინძლა გაცვლითი პროგრამითა და Erasmus+ ის პროგრამით ჩამოსულ 25 სტუდენტს.

ამავე პერიოდში დეპარტამენტმა დაგეგმა და უმასპინძლა აკადემიური ადმინისტრაციული პერსონალს (სულ 19) სხვადასხვა უნივერსიტეტიდან.

2017 წლის შემოდგომისა და 2018 წლის გაზაფხულის სემესტრებისთვის, კავკასიის უნივერსიტეტის 34-მდე ადმინისტრაციულ-აკადემიური პერსონალისთვის დაიგეგმა და განხორციელდა მობილობები.

2018 წლის შემოდგომის სემესტრისთვის, ერაზმუს+ ის მობილობით საზღვარგარეთ გაემგზავრა 17 სტუდენტი.

საერთაშორისო გაცვლით პროგრამას (Bilateral Exchange) დეპარტამენტის მიერ შეირჩა 3 სტუდენტი, რომლებიც გაემგზავრებიან ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებში.

2018 წლის შემოდგომის სემესტრში, კავკასიის უნივერსიტეტი ჯამში 8 სტუდენტს უმასპინძლებს.

დეპარტამენტი წელიწადში ორჯერ აცხადებს კონკურსს გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სტუდენტებისა და აკადემიურ-ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევის მიზნით.



დეპარტამენტი ასევე უზრუნველყოფს სტუდენტებთან მობილობამდე საორიენტაციო შეხვედრებს, რომლის მიზანია სტუდენტებისათვის თითოეული პარტნიორი უნივერსიტეტისა და გაცვლითი პროგრამის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. ანალოგიურად, დეპარტამენტი აწყოფს შეხვედრებს გაცვლითი პროგრამის უცხოელი სტუდენტებისათვის.

მობილობისთვის მზადება სამ ეტაპად იყოფა და დეპარტამენტი სრულად ჩართულია სამივე ეტაპზე- Before the Mobility, During the Mobility, After the Mobility.

2017 წლის ოქტომბერში გამოცხადდა ახალი ერაზმუს+ ის კონკურსი (2018-2020 წლებისთვის) სტუდენტებისა და აკადემიურიადმინისტრაციული პერსონალის მობილობასთან დაკავშირებით. დეპარტამენტი დაუკავშირდა უნივერსიტეტის ყველა მოქმედ პარტნიორს და შესთავაზა ახალ პროექტებში მონაწილეობა.

საერთაშორისო სტუდენტები

უნივერსიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვა და მათი საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაცია წარმოადგენს. ამ მიმართულებით დეპარტამენტმა აქტიურად დაიწყო პოტენციური ბაზრების მოძიება, მოთხოვნადი პროგრამების იდენტიფიცირება და შესაბამის სააგენტოებთან კომუნიკაცია.

ამასთან დაკავშირებით, სკოლებთან ერთად შეჯერდა 9 საგანმანათლებლო პროგრამა და არაერთი შეხვედრის საფუძველზე მოხდა პროგრამების გადამინგლისურების პროცესის დაწყება.

დეპარტამენტი აქტიურად იყო ჩართული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის “ისწავლე საქართველოში” (Study in Georgia) აქტივობებში.

ამასთანავე, მედიკოსის საბაკალავრო პროგრამის შემუშავებისთანავე დეპარტამენტმა დაიწყო მუშაობა და დოკუმენტაციის მომზადება “Medical Council of India” (MCI)-ს აკრედიტაციის მისაღებად.

დეპარტამენტმა შეიმუშავა უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვასთან დაკავშირებული ინსტრუქცია, რომელიც მოიცავს აპლიკანტის საჭირო საბუთების ჩამონათვალს. უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვასთან დაკავშირებული საბუთების მოწესრიგების პროცესში ჩართული არიან პირადად დეპარტამენტის თანამშრომლები.

დეპარტამენტმა საანგარიშო პერიოდში განიხილა 19 აპლიკანტის განაცხადი, უზრუნველყო ყველა ზემოთ აღნიშნული პროცედურის გავლა და 7 სტუდენტის ჩარიცხვა.



კონკურსები, სტიპენდიები და საზაფხულო სკოლები

დეპარტამენტი აქტიურად მოიძიებს ინფორმაციებს პარტნიორი უნივერსიტეტების, სხვადასხვა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორების მიერ გამოცხადებული კონკურსებისა და სტიპენდიების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტის მიერ გავრცელდა ინფორმაცია:

- 55- საზაფხულო პროგრამების შესახებ
- 44 -საერთაშორისო სტიპენდიის შესახებ

გარდა აღნიშნულისა, დეპარტამენტმა დაგეგმა და ორგანიზება გაუწია სხვადასხვა პარტნიორების მიერ გამოცხადებული კონკურსების შესახებ საინფორმაციო შეხვედრებს. უმასპინძლა გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) წარმომადგენლებს, „AIESEC“ საქართველოს, Center for International Education და სხვა. 2017 წელს დეპარტამენტს დაევალა სამართლის სკოლის ნაცვლად ემორის საზაფხულო სკოლის ორგანიზება. თუმცა, ემორის უნივერსიტეტში არსებული გარკვეული პრობლემების გამო საზაფხულო სკოლა ვერ შედგა.

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტმა შეიმუშავა ორი საზაფხულო სკოლის პროგრამა - აჯმანისა და ციტადელის უნივერსიტეტების სტუდენტებისათვის.

ორმაგი ხარისხის პროგრამები

ამ ეტაპზე უნივერსიტეტში ბიზნესის სკოლის სტუდენტებისთვის მოქმედებს ორმაგი ხარისხის 3 საბაკალავრო და 1 სამაგისტრო პროგრამა,

2018 წლიდან, დეპარტამენტი აქტიურად მუშაობს სკოლებთან ერთად ახალი ორმაგი ხარისხის პროგრამების შემუშავებაზე და ახორციელებს პარტნიორ უნივერსიტეტებთან მოლაპარაკებებს- 5 უნივერსიტეტთან ევროპასა და ამერიკაში.

საერთაშორისო მარკეტინგი/ცნობადობის გაზრდა

დეპარტამენტი აქტიურად მუშაობს საერთაშორისო დონეზე ცნობადობისა და ავტორიტეტის გაზრდისათვის. აღნიშნული გამოიხატება სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებებში, გამოფენებში, პროექტებში, საერთაშორისო კვირეულებში მონაწილეობით, ასევე უნივერსიტეტის შესაძლებლობებისა და სწავლების დონის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენით.

დეპარტამენტმა 2017-2018 წელს უნივერსიტეტში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე განაახლა ბროშურა კავკასიის უნივერსიტეტის შესახებ და დაამატა ინფორმაცია ახალი სკოლების, პროგრამების, კამპუსისა და ზოგად მიღწევებზე.



უცხოელი სტუდენტებისთვის დეპარტამენტმა შეიმუშავა საერთაშორისო სტუდენტების გზამკვლევი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას უნივერსიტეტის სკოლების შესახებ მიღწევებზე, ინგლისურენოვანი პროგრამების, სავიზო პროცედურების, რეზიდენტობის მიღებისთვის საჭირო დოკუმენტების შესახებ.

საუნივერსიტეტო მხარდაჭერის პროგრამა

2017 წლის ივნისში, განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის ბრძანებით, დამტკიცდა საუნივერსიტეტო მხარდაჭერის პროგრამა, რომლის მიზანი ცენტრის ბენეფიციარების კავკასიის უნივერსიტეტში სხვადასხვა აკადემიურ თანამდებობებზე დასაქმებისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა გახლდათ. ზემოთ აღნიშნულ პროგრამაში უნივერსიტეტი აქტიურად ჩაერთო და ცენტრთან გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი. 2017 წლის ოქტომბერში, დეპარტამენტის წარმომადგენლები განათლების საერთაშორისო ცენტრის მიერ ორგანიზებულ კურსდამთავრებულთა ფორუმს დაესწრნენ.

დეპარტამენტი აქტიურად ჩაერთო უნგარიკუმის პროექტშიც, რომლის მიხედვით, განათლების საერთაშორისო ცენტრი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დახმარებით უზრუნველყოფს უნგრელი სტუდენტების ჩარიცხვას კავკასიის უნივერსიტეტში.

2017 წლის ოქტომბერში, დეპარტამენტმა საუნივერსიტეტო მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, დაგეგმა კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის უნგრეთში ქართული უნივერსიტეტების რექტორთა მივლინების დეტალები და მოამზადა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის სამუშაო ვერსია, რომელსაც შემდგომში ხელი მოაწერა კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტმა და უნგრეთის 2 -მა უნივერსიტეტმა.

2018 წლის თებერვალში, დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს განათლების საერთაშორისო ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგში, რომელიც უნგრეთის ცენტრალური უნივერსიტეტის ტრენინგებმა ჩაატარეს.

ტრენინგის მეორე ნაწილი გაიმართა უნგრეთში, ქალაქ ბუდაპეშტში, სადაც დეპარტამენტის წარმომადგენლები შეხვდნენ ღია საზოგადოების არქივის, კორნიუუსის უნივერსიტეტის, ELITE-ს უნივერსიტეტისა და ტემპუსის საზოგადოებრივი ფონდის წარმომადგენლებს.

2018 წლის ივნისში, დეპარტამენტის წარმომადგენლები დაესწრნენ განათლების საერთაშორისო ცენტრის მიერ ორგანიზებულ ვორქშოპს, რომელიც ტემპუსის საზოგადოებრივი ფონდის ექსპერტებმა ჩაატარეს.



2018 წლის ივლისში, დეპარტამენტი ჩაერთო განათლების საერთაშორისო ცენტრის ინიციატივით შექმნილ სადისკუსიო-საკონსულტაციო ფორუმში.

დასაქმების კვლევის ქართული ინსტიტუტი

2015 წლიდან თბილისის სამი უნივერსიტეტი: ქართულ-ამერიკული, თბილისის სახელმწიფო და კავკასიის უნივერსიტეტები ახორციელებენ ერთობლივ სამაგისტრო პროგრამას - „ევროინტეგრაცია და საქართველოს შრომითი ურთიერთობები“ (EIGER). სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტმა „ევროპული ინტეგრაცია და საქართველოს შრომითი ურთიერთობების“ პროგრამის მიღწევების კონსოლიდირებისა და გაფართოების მიზნით, უზრუნველყო 2018 წელს უნივერსიტეტთაშორისი პლატფორმა - “დასაქმების კვლევის ქართული ინსტიტუტის“ დაარსება.

დამატებითი აქტივობები

დეპარტამენტის აქტიური მონაწილეობით შეფასდა ბიბლიოთეკის მატერიალური და ორგანიზაციული რესურსების ბაზა და შემუშავდა რეკომენდაციები აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად .

გარდა ამისა, ჩატარდა ინტენსიური საერთაშორისო მოლაპარაკებები ტექნოლოგიებისა და მედიცინის სკოლისათვის საჭირო აღჭურვილობის შესაძენად და ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად.



ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი

2019 წლის გაზაფხულის სემესტრი

დეპარტამენტის მიზანია, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში სწავლებისა და სწავლის ხარისხის მუდმივ ამაღლებას და ამ მიზნით განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობის სტიმულირებისათვის აუცილებელი ღონისძიებები;

დეპარტამენტის ამოცანაა, ეფექტურად დანერგოს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, სისტემატურად განახორციელოს უნივერსიტეტის ინსტიტუციონალური კვლევა და კვლევის შედეგად მიღებული შედეგების შესახებ ანგარიში წარუდგინოს უნივერსიტეტის პრეზიდენტს და პასუხისმგებელ პირებს შემდგომი განხილვისა და რეაგირებისათვის;

დადგენილი მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად, დეპარტამენტი მასზე დაკისრებულ ფუნქციებსა და ამოცანებს ახორციელებს "დაგეგმე-განახორციელებ-შეამოწმე-განავითარე" (PDCA) ციკლის პრინციპით, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებზე დაყრდნობით.

დეპარტამენტის აქტივობები

კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ 2019 წლის იანვარი - ოქტომბრის ჩათვლით განხორციელებული საქმიანობის ანგარიში შედგება სამი ნაწილისგან. პირველი ნაწილი ეთმობა კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესს, ანგარიშის მეორე ნაწილი ეთმობა ავტორიზაციის განმავითარებელი შეფასების პროექტის ფარგლებში უნივერსიტეტის მომზადებას, ხოლო მესამე ნაწილში საუბარია ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ განხორციელებულ სხვა ძირითად, საკვანძო საკითხებზე.

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროგრამების აკრედიტაცია

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე საანგარიშო წლის პერიოდში კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელობით წარმატებით განხორციელდა 8 სკოლის 19 საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია, ასევე განხორციელდა „ელექტრონიკისა და კომპიუტერული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შედეგების განხილვა, რაც ასევე წარმატებით დასრულდა. ამჟამად მიმდინარეობს შემდეგი სამი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესი: ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა, PR (პიარისა) და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა და კლინიკური არტ-თერაპიის სამაგისტრო პროგრამა.



2. კავკასიის უნივერსიტეტის ავტორიზაციის განმავითარებელი შეფასების პროექტის ფარგლებში უნივერსიტეტის მომზადება.

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა უზრუნველყო ავტორიზაციის განმავითარებელი შეფასების პროექტის ფარგლებში უნივერსიტეტის მომზადება. ავტორიზაციის შვიდივე სტანდარტის შესახებ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ანგარიშის და მასთან დაკავშირებული დანართების მოსამზადებლად, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელობით დაკომპლექტდა სამუშაო ჯგუფები, განისაზღვრა სამუშაო ჯგუფების ხელმძღვანელები და ჯგუფების შემადგენლობა. მოსამზადებელი სამუშაოების განმავლობაში გადაიხედა, ცვლილებები შევიდა ან/და შემუშავდა სხვადასხვა მარეგულირებელი დოკუმენტები და დებულებები. სხვადასხვა ჯგუფებთან პერიოდულად ჩატარდა სამუშაო შეხვედრები, გაწეულ იქნა რეკომენდაციები და რჩევები. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ, ავტორიზაციის განმავითარებელი შეფასების პროექტის ფარგლებში, განხორციელდა საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმისა და თანდართული დოკუმენტაციის სრულად ასახვა QMS (Quality Management System)-ში.

3. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული სხვა ძირითადი საკვანძო საკითხები:

- 3.1. ვიზიტები და ტრენინგებში მონაწილეობა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ინსტიტუციურ და პროგრამულ განვითარებასთან დაკავშირებით;
- 3.2. საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შემუშავება და აღნიშნულ თემაზე ტრენინგების ჩატარება დაინტერესებული პირებისთვის;
- 3.3. სტუდენტთა სემესტრული გამოკითხვების შედეგების გაანალიზება და ანგარიშის მომზადება;
- 3.4. პერსონალის ზოგადი კმაყოფილების და საქმიანობის შეფასების კვლევა და შედეგების ანალიზი;
- 3.5. ელექტრონული პროგრამული ბაზის მუდმივი განახლება;
- 3.6. აკრედიტაციის და ავტორიზაციის ვიზიტების ორგანიზება;
- 3.7. პროექტ „Integriti“ - Academic Integrity for Quality Teaching and Learning in Higher Education Institutions in Georgia - მონაწილეობა: აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსის გადამუშავება და საბოლოოს ვერსიის შემუშავება; სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა;
- 3.8. 2019-2020 წლის აკადემიური კალენდრის შემუშავება;
- 3.9. შრომის ბაზრის კვლევის პროექტის ფარგლებში აქტიური მონაწილეობა;



- 3.10. სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრების და ტრენინგების ჩატარება;
- 3.11. სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა.



პერსონალის მართვის დეპარტამენტი


კავკასიის უნივერსიტეტის პერსონალის მართვის დეპარტამენტის მიერ რეგულარულად ხორციელდება პერსონალის მართვასთან დაკავშირებული ოფიციალური დოკუმენტების მონაცემების სათანადო დონეზე გაფორმება/რეგისტრაცია/შენახვა, პერსონალის მიღების, გადაყვანის და გათავისუფლების დროული გაფორმება, პერსონალთან მუშაობის საკითხებზე შემოსული წერილების, განცხადებებისა და საჩივრების დროული განხილვა, პერსონალის შერჩევის პროცესის ორგანიზება, ყოველთვიური რეპორტის მომზადება, საკადრო ბრძანებების გაფორმება და სხვა.

ქვემოთ წარმოდგენილია კავკასიის უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ თანამშრომელთა, აკადემიურ, აფილირებულ და მოწვეული პერსონალთა რაოდენობები ბოლო წლების განმავლობაში.

	2017 წელი	2018 -2019 წელი
ადმინისტრაციული პერსონალი	125	171
აფილირებული პერსონალი	N/A	43 (პროცესშია -2)
აკადემიური პერსონალი	187	240
მოწვეული პერსონალი	გაზაფხული -345 ზაფხული- 27 შემოდგომა -372	გაზაფხული -386 ზაფხული -12 შემოდგომა- 419

აკადემიური პერსონალი


სულ -240



- პროფესორი
- ასოცირებული პროფესორი
- ასისტენტ-პროფესორი
- ასისტენტი



ავილირებული პერსონალი, აკადემიურ პერსონალთან მიმართებაში



■ აკადემიური პერსონალი ■ აქედან ავილირებული

ადმინისტრაციული თანამშრომლები Turnover Rate

	სამსახურში მიღებული თანამშრომელთა რაოდენობა	სამსახურიდან გათავისუფლებული თანამშრომელთა რაოდენობა	დაწინაურება	სტაჟირება
2017	28	15	9	4
2018-დღემდე	59	17	39	1

დეპარტამენტი საჭიროების შესაბამისად აცხადებს და ატარებს კონკურსებს, 2017-2018 წლებში გამოცხადებული და ჩატარებული კონკურსების რაოდენობა მოცემულია ქვემოთ ცხრილებში.

აკადემიური	გამოცხადებული კონკურსების რაოდენობა	ჩატარებული კონკურსების რაოდენობა
2017 წელი	6	12
2018 წლიდან - დღემდე	12	14



მოწვეული	გამოცხადებული კონკურსების რაოდენობა	ჩატარებული კონკურსების რაოდენობა	ანულირებული
2017 წელი	5	4	0
2018 წლიდან - დღემდე	7	8	2

ადმინისტრაციული	გამოცხადებული კონკურსების რაოდენობა	ჩატარებული კონკურსების რაოდენობა	ანულირებული
2017 წელი	5	5	1 (ჩატარების შემდეგ გამოცხადდა ანულირებულად)
2018 წლიდან - დღემდე	8	4 (+1 მიმდინარე პროცესში)	3

ადმინისტრაციული კონკურსები/ აყვანა	კონკურსის შედეგად აყვანილი კადრების რაოდენობა
2017 წელი	6
2018 წელი	6 (+ 1 მიმდინარე)

საქმიანობის შედეგები

საანგარიშო პერიოდში პერსონალის მართვის დეპარტამენტმა შეიმუშავა პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების სისტემის დოკუმენტი, დებულება კონკურსის (როგორც ადმინისტრაციულ, სე აკადემიურ პერსონალთან მიმართებაში) ჩატარების წესის შესახებ. ასევე შეიქმნა ლექტორის სემესტრული და წინარე შრომითი ხელშეკრულების ნიმუშები, აფილირების ინდივიდუალური და სტანდარტული ხელშეკრულების ნიმუშები, მომზადდა სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების დოკუმენტები, შეიქმნა საკონკურსო განაცხადის ფორმები (ადმინისტრაციული, ისე აკადემიური), განაახლა აპლიკანტთა ფურცლები ადმინისტრაციული და აკადემიური კონკურსის ფარგლებში, 240 აკადემიურ პერსონალთან და 43 აფილირებულ პერსონალთან გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები, მონაწილეობა მიიღო 10 სკოლის მოწვეული და აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების ანალიზსა და განახლებაში, შექმნა ლექტორთა მეილ-ჯგუფები და CU ბაზა.



მარკეტინგის და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დეპარტამენტის საქმიანობის ძირითადი მიზანია, პოტენციური მომხმარებლის მოზიდვა, უნივერსიტეტის ცნობადობის მუდმივი ზრდა, პარტნიორებთან ურთიერთობა, თანამშრომლებთან შიდა კომუნიკაციის გაღრმავება, სტუდენტური ცხოვრების განვითარების ხელშეწყობა, კურსდამთავრებულებთან ურთიერთობა და სხვა.

საბაკალავრო პროგრამებისთვის პოტენციური მომხმარებლების იდენტიფიცირებისა და მათთან მარკეტინგის მიმართულებით მუშაობის ფარგლებში დეპარტამენტმა განახორციელა ისეთი აქტივობები, როგორებიცაა: ახალი შეთავაზება აბიტურიენტებისთვის - ტოპ 500, აბიტურიენტებთან წარსადგენი პრეზენტაციის შექმნა, ბროშურისა და სარეკლამო ვიდეოს შემუშავება, კამპანია სოციალურ ქსელში, პრეზენტაციები სკოლებში, საინფორმაციო შეხვედრები, კამპუსის ტურები, ღონისძიებები აბიტურიენტებისთვის, მურწყუსთან თანამშრომლობა და ა. შ.

პრეზენტაციები სკოლებში

მარკეტინგის და პიარის დეპარტამენტის და სკოლების წარმომადგენლების მიერ საჯარო და კერძო სკოლებში საბაკალავრო პროგრამების შესახებ პრეზენტაციები ჩატარდა თბილისსა და რეგიონებში.

	2017-2018 აკად. წელი	2018-2019 აკად. წელი
თბილისი	216	201
რეგიონები (ქუთაისი, ზუგდიდი, ფოთი, სენაკი, სამტრედია, ბორჯომი, გორი, წეროვანი, მცხეთა, რუსთავი, საგარეჯო, სიღნაღი, გურჯაანი, თელავი, დედოფლისწყარო)	71	85
აჭარა	46	56
ჯამი	333	342



საინფორმაციო შეხვედრები და კამპუს ტურები

დეპარტამენტი აქტიურად ატარებდა აბიტურიენტთათვის საინფორმაციო შეხვედრებსა და კამპუს-ტურებს.

	დარეგისტრირდა	მოვიდა
საინფორმაციო შეხვედრები (6 შეხვედრა) 1 შეხვედრა მაია გაბუნიასთან ერთად	700 აბიტურიენტი	350 აბიტურიენტი
კამპუს ტურები (12 კამპუს ტური)	244 აბიტურიენტი	150 აბიტურიენტი

ლონისძიეები აბიტურიენტებისთვის

კავკასიის უნივერსიტეტში აბიტურიენტებისთვის ჩატარდა მრავალფეროვანი ღონისძიებები. ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო თბილისისა და რეგიონების სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებმა.

საუნივერსიტეტო ღონისძიებები	დარეგისტრირდა	მოვიდა
ფეხბურთის ჩემპიონატი	23 გუნდი	230-მდე მონაწილე
ლოგიკური თამაშების ლიგა	84 გუნდი	200-მდე მონაწილე
ლექციები აბიტურიენტებისთვის (მიმდინარეობს)	125 აბიტურიენტი	17 აბიტურიენტი



სკოლების ღონისძიებები	დარეგისტრირდა	მოვიდა
CSB ბიზნეს ვორკშოპი	45 მონაწილე	25 მონაწილე
CSL ვორკშოპი	29 მონაწილე	13 მონაწილე
CSL ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იმიტირებული	67 მონაწილე	15 მონაწილე
CSM ბლოგერების კონკურსი	20 მონაწილე	20 მონაწილე
CSM ახალგაზრდების მედია წიგნიერებისთვის	75 მონაწილე	75 მონაწილე
CST კონკურსი არქიტექტონი	16 გუნდი	20 მონაწილე
CSG ტრენინგი მოლაპარაკებების ხელოვნება	49 მონაწილე	11 მონაწილე

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა ვიზიტორ აბიტურიენტთა რიცხვი წინა წლებთან შედარებით. მაგალითად 2017-2018 წლებში ვიზიტორ აბიტურიენტთა რიცხვი იყო 700-მდე, ხოლო 2018-2019 წლებში- 1100-მდე.

ამ დროისთვის აბიტურიენტებისთვის მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებებია: CST კონკურსი ტექნორალი, CSL ნაფიც მსაჯულთა იმიტირებული სასამართლოს პროცესი ბათუმსა და თბილისში, CSB ბიზნეს ვორკშოპი. გარდა ამისა, იგეგმება ფეისბუქ ლაივი აბიტურიენტებისთვის, საინფორმაციო შეხვედრა და საჭიროებიდან გამომდინარე შეტყობინებების გაგზავნა.

სამაგისტრო პროგრამებთან დაკავშირებული აქტივობები

მაგისტრატურის საფეხურს დაკავშირებით მარკეტინგის და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის 2018 წლის შემოდგომის სემესტრში დეპარტამენტმა განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

- შემოდგომის სემესტრში CU გრანტის პოპულარიზაციის მიზნით გრანტოსნების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა სოციალურ ქსელში
- ჩამოყალიბდა CU გრანტის მოპოვების კიდევ ერთი პირობა (განხილვის პროცესშია)
- ჩატარდა სამუშაო შეხვედრა ბროშურის განახლებასთან დაკავშირებით და დაწყებულია მუშაობა
- დაანონსდა ფეისბუქ ლაივი მაგისტრატურის აპლიკანტებისთვის



- ჩამოყალიბდა აპლიკანტების მოზიდვის სტრატეგია, რაც გულისხმობს საინფორმაციო შეხვედრებს როგორც საუნივერსიტეტო ისე სკოლების დონეზე

ამ დროისთვის სამაგისტრო პროგრამებთან დაკავშირებით დეპარტამენტის მიერ დაგეგმილი აქტივობებია:

- საინფორმაციო ბროშურის ბეჭდვა
- საინფორმაციო შეხვედრები როგორც საუნივერსიტეტო ისე სასკოლო დონეზე
- დაფინანსების შესაძლებლობების და საინფორმაციო შეხვედრების შესახებ ინფორმაციის გავრცელება სხვადასხვა პლატფორმებით (სოციალური ქსელით, მოკლექტესტური შეტყობინებებით, მეილებით)
- საჭიროებიდან გამომდინარე ვიზიტების დაგეგმვა მიზნობრივ ორგანიზაციებში

სადოქტორო საფეხური

ახალი სკოლის ფარგლებში განხორციელებული ძირითადი აქტივობებია

- სკოლის ვებგვერდის შექმნა
- საინფორმაციო შეხვედრის იმიჯი და დაანონსება
- საინფორმაციო შეხვედრის დაგეგმვა, გადაღება/განიუსება დაგეგმილია
- სამუშაო შეხვედრა ყველა სადოქტორო პროგრამის მიმართულებით
- კამპანიის დაგეგმვა

საუნივერსიტეტო ღონისძიებები

გარდა პროგრამების პოპულარიზაციისა დეპარტამენტი პასუხისმგებელია საუნივერსიტეტო ღონისძიებებზე.

სექტემბრიდან თებერვლამდე უნივერსიტეტში ჯამში ჩატარდა 150-მდე ღონისძიება რომელიც მოიცავს: საჯარო ლექციებს, კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლების ვიზიტებს, მემორანდუმებს, კონფერენციებს, ჰაკათონებს, ვორკშოპებს, სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო შეხვედრებს, საერთაშორისო პარტნიორების ვიზიტებს.

საზოგადოებრივი აქტივობები სხვადასხვა სტეიკჰოლდერებისთვის

უნივერსიტეტი აქტიურად არის ჩართული საზოგადოებრივ საქმეებში. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დეპარტამენტი ჩაერთო და დააორგანიზა ისეთი ღონისძიებები, როგორებიცაა:



- „ნუ მოჭრი მორთე“ - გარემოს დაცვის სამინისტროს პროექტი
- „ჯადოსნური ახალი წელი“ CU კამპუსში
- კოლაბორაცია ქართულ ბრენდებთან პარტნიორების საახალწლო საჩუქრებისთვის (განხორციელდა საორგანიზაციო დეპარტამენტთან კოორდინირებულად)
- წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე
- „მიმართე ოკუპანტს“- TV პირველის კამპანია კავკასიის უნივერსიტეტი იყო პირველი ვინც ეს პროექტი გახსნა
- დაუნის სინდრომის მსოფლიო დღესთან დაკავშირებული აქტივობა
- პლაგიატის კამპანია
- რა? სად? როდის? ბიზნეს ლიგა

დეპარტამენტი აქტიურად მუშაობს ვებ-გვერდისა და სოციალური მედიის აქტივობებზე. საანგარიშო პერიოდში მთავარ გვერდზე დაემატა ბიბლიოთეკის მენიუ, დაემატა/განახლდა 30-მდე ქვე-მენიუ, აქტიურია ონლაინ ჩატი. ამ ეტაპზე დეპარტამენტი მიმდინარეობს მუშაობა ნიუსლეთერის განახლებაზე, ვებგვერდის ტექნიკურ უზრუნველყოფასა და მობილური აპლიკაციის განახლებაზე.

სტუდენტური ღონისძიებებისა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობების სამსახური

2018-2019 წელს (ოქტომბრიდან) სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა სამსახურმა ორგანიზება გაუწია 40-მდე ღონისძიებას მათ შორის:

- რა? სად? როდის? სტუდენტებისთვის
- HALLOWEEN
- CU დასი - სპექტაკლი „განახლება“
- CU-ს გარდამავალი თასი 2018
- CU SECRET SANTA 2018
- საახალწლო კინო ჩვენება
- საახალწლო წვეულება
- ექსკურსია საირმეში
- სასწავლო ტური ათენში
- ვალენტინობა CU კამპუსში
- არა ოკუპაციას
- თვითმმართველობის არჩევნები



- პირველკურსელთა წვეულება
- მაგისტრატურის და დოქტორანტურის პირველკურსელთა წვეულება

კავკასიის უნივერსიტეტში აქტიურია 10 კლუბი, რომელიც სხვადასხვა აქტივობებს ახორციელებს სტუდენტური სამსახურის დახმარებით.

სამსახური გეგმავს კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავებას და ამასთან დაკავშირებით ივნისში გაკეთდა ბაზა. 80%-მდე კურსდამთავრებულის მონაცემი განახლებულია, მიმდინარეობს დარჩენილი მონაცემების დამუშავება. გარდა ამისა, იგეგმება ალუმნი ფონდის დაარსება წარმატებული კურსდამთავრებულების ისტორიების გამოქვეყნება კურსდამთავრებულების შეხვედრები სტუდენტებთან (როგორც CSB ALUMNI TALKS).



IT დეპარტამენტი

საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის მისიაა უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, უნივერსიტეტის მართვის პროგრამული და ტექნიკური მხარდაჭერის, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვისა და განახლების, კომპიუტერული ბაზის, ლოკალური და გლობალური ქსელების შეუფერხებელი და უსაფრთხო მუშაობა, საგამოცდო ცენტრის საქმიანობის უზრუნველყოფა.

განხორციელებული სამუშაოები:

- კავკასიის უნივერსიტეტის ახალი კამპუსის IT ინფრასტრუქტურის დაგეგმვა და განხორციელება
- ჯიქიას კამპუსიდან ტექნიკის მიგრაცია
- დაგეგმილი სისტემური ინფრასტრუქტურის განხორციელება
- დაგეგმილი ქსელური ინფრასტრუქტურის განხორციელება
- დაგეგმილი პროგრამული ინფრასტრუქტურის განხორციელება
- მიგრაციის და მიმდინარე პერიოდებში ტექნიკის შეძენა
- საწყობის მენეჯმენტის შემუშავება
- ასლგადამღები ცენტრის მენეჯმენტის შემუშავება

მომდევნო წლის გეგმები

- თანამშრომლებისათვის ტექნიკის განახლება
- აუდიტორიებისათვის ტექნიკის განახლება
- სტუდენტთა ელექტრონული რეზიუმეების პროგრამის შექმნა შემუშავება
- სტუდენტთა მომსახურების ცენტრისათვის მხარდაჭერის პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა
- სტუდენტებისათვის პრინტ სერვისის სისტემის შემუშავება
- სტუდენტთა ტექნიკური დახმარების ცენტრის დაარსება
- არსებული პროგრამული სერვისების ახალ ვერსიაზე გადაწერა

კავკასიის უნივერსიტეტის ახალი კამპუსის IT ინფრასტრუქტურის დაგეგმვა და განხორციელება: ტექნიკის შერჩევა, შერჩეულ ტექნიკაზე ტენდერის გამოცხადება, შესყიდვა, მონტაჟი, კონფიგურაცია, შენობის ქსელური ინფრასტრუქტურის შემუშავება, აუდიტორიებისა, კომპიუტერული კლასებისათვის და სასერვეროებისათვის ელექტრო მომარაგების პროექტირება, მულტიმედია პროექტორების დაგეგმარების პროექტი, სატელეფონო სისტემის შერჩევა და დანერგვა, ვიდეო მონიტორინგის სისტემის პროექტირება, გამშვები პუნქტების ტექნიკური დაგეგმარება და ინსტალაცია, საკონფერენციო დარბაზის ტექნიკური პროექტირება, ახალი შენობისათვის ინტერნეტ პროვაიდერის შერჩევა და ინსტალაცია, სისტემური და ქსელური ინფრასტრუქტურის დაგეგმვა.



ჯიქიას კამპუსიდან ტექნიკის მიგრაცია: ჯიქიას კამპუსიდან ტექნიკის ინვენტარიზაცია, ტექნიკის გადმოტანის ორგანიზება, სერვერის მიგრაცია

ქსელური და სერვერული უზრუნველყოფა: სასერვერო და საკომუნიკაციო ოთახები, Cisco 3650, Cisco 2960, Cisco 3504 Wireless Controller and Cisco 1832 Access Points, Fortigate 200d, HPE DL380 G9, HPE DL380 G7, HPE DL360 G7, Cisco Business Edition 6000M

სისტემური უზრუნველყოფა: Moodle, ანტი-პლაგიატის სისტემა, 30 სამომხმარებლო პროგრამა (ცვალებადი სემესტრების მიხედვით, სისტემური სერვისების დანერგვა (ADDC, DHCP, File Server, Codex Server, INFO Server, Canteenarea Server, Storage Management Server, VoIP, eduroam, NPS, SEPM, Suprema Biostar, Backup Server) ვებ გვერდებისთვის სერთიფიკატის შექმნა/დაყენება;

პროგრამული უზრუნველყოფა:

- საგანმანათლებლო პროგრამების მართვის სისტემა
- გადახდის გრაფიკის შექმნის პროგრამა.
- დაკავებული აუდიტორიების ონლაინ რეჟიმში ხედვის პროგრამა. აუდიტორიების დაჯავშნის პროგრამა.
- ელექტრონული ხელშეკრულებების შექმნის (ჩარჩო, სემესტრული, გამოცდის გადაბარება) პროგრამა.
- წიგნების აღრიცხვის პროგრამა
- სილაბუსის ელექტრონულად შეყვანის პროგრამა ლექტორის პირადი პროფილიდან.
- სილაბუსის დათვალიერების და შევსების სტატისტიკის დადგენის პროგრამა მენეჯერის პროფილიდან.
- ნიშნების შეყვანის პროგრამა ლექტორის პროფილიდან.
- ნიშნების დათვლის ახლა პროგრამა.
- ნიშნების სტატისტიკის პროგრამა მენეჯერის პროფილისთვის.
- უცხოელი სტუდენტებისთვის კითხვარის და ლექტორის შეფასების პროგრამები.
- გამოცდის გადაბარების აღრიცხვის და ანალიზის პროგრამები.
- საკონფერენციო დარბაზის დაჯავშნის პროგრამა.
- IT საწყობისთვის პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება.
- საბიბლიოთეკო ფონდის მართვის პროგრამა - მიმდინარეობდა მუშაობა.
- HR - პროგრამა, მიმდინარეობს მუშაობა.



სისტემური უზრუნველყოფა

სისტემური სერვისების დანერგვა: დომეინ კონტროლერი, DHCP, Eduroam , VoIP, NPS, SEPM, Suprema Biostar, Veeam, Moodle, Turnitin , File Server

ქსელური უზრუნველყოფა

ქსელური სერვისების დანერგვა: სასერვერო და საკომუნიკაციო ოთახები, L2 და L3 Switch-ები, NG Firewall, Wireless Controller and Access Points, სამომხმარებლო პროგრამები (STATA, MATLAB, Eviews, Dynare, IRIS, Systat, Nvivo, Python, SPSS V20, SPSS V23, Cisco Packet Tracer, Codeblocks, Dev C++, Vmware Workstation, Oracle VM Virtualbox, JDK8, JDK 10, IntelliJ Idea, Autocad, Archicad, Apache, MySQL, VS Code, Sublime Text, Notepad ++, Canopy, Visual Studio, SQL Server, SQL SMS, Adobe XD, Adobe Premier, Adobe Illustrator, MS Office 2016, MS Project 2016, Git, ModelRisk, Anylogic, Extend6lt, 1C, Codex, Winyoulaw, XAMPP, Composer, JetBrains Resharper, 3DS MAX , Unreal Engine, R&Rstudio და სხვა)

შემენილი ტექნიკა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემენილ იქნა 947023.49 ლარის ტექნიკა. შემენილი ტექნიკის უმრავლესი ნაწილი მოხმარდა ახალ ქსელურ ინფრასტრუქტურას, სასერვერო მოწყობილობებს, გამშვები პუნტის ტურნიკეტებსა და კომპიუტერული კლასების განახლებას.

დაგეგმილი სამუშაოები

- თანამშრომლებისათვის ტექნიკის განახლება
- აუდიტორიებისათვის ტექნიკის განახლება
- სტუდენტთა მომსახურების ცენტრის მხარდაჭერის პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა
- სტუდენტებისათვის პრინტ სერვისის სისტემის შემუშავება
- სტუდენტთა ტექნიკური დახმარების ცენტრის დაარსება
- დოკუმენტბრუნვის მიმოცვლის ელექტრონული სისტემა eflow



კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი

კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტის მიზანია კვლევით პროექტებში უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ჩართვის ხელშეწყობა, კვლევითი საქმიანობისთვის საჭირო უნარების განმავითარებელი ღონისძიებების დაგეგმვა და ჩატარება, სკოლებში გამოყენებითი და ფუნდამენტური კვლევების განხორციელებაზე ორიენტირებული საქმიანობის მხარდაჭერა.

კავკასიის უნივერსიტეტის კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტის მიერ 2018 წელს და 2019 წლის იანვარი - თებერვლის თვეში განხორციელებული საქმიანობის ანგარიში ორი ნაწილისგან შედგება: პირველი ნაწილი ეთმობა დეპარტამენტის მიერ განხორციელებული აქტივობების შეჯამებას, ხოლო ანგარიშის მეორე ნაწილი - სკოლებისა და აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული კვლევითი საქმიანობის აღწერას.

კვლევითი საქმიანობის ინსტიტუციური მხარდაჭერა, ახალი ინიციატივები

მიმდინარე საანგარიშო პერიოდი მნიშვნელოვანია კავკასიის უნივერსიტეტში კვლევის ხელშეწყობის გაძლიერების მხრივ: უნივერსიტეტის მმართველმა საბჭომ დაამტკიცა კვლევის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების პროცედურა და უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოყო დაფინანსება კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერისთვის. ახალი პირობების თანახმად, წელიწადში ორჯერ (დეკემბერში და ივნისში) სკოლების აკადემიურ პერსონალს, ასევე მაგისტრანტებს და დოქტორანტებს, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად შესაძლებლობა ექნებათ წარმოადგინონ კვლევითი პროექტები დაფინანსების მისაღებად. მაქსიმალური ბიუჯეტი ერთი საპროექტო განაცხადის დასაფინანსებლად არის 25 000 ლარი. წარმოდგენილ პროექტებს შეაფასებს სპეციალური კომისია. ასევე განახლდა დეპარტამენტის შესახებ ინფორმაცია ვებ გვერდზე.

კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის კვლევით აქტივობებთან დაკავშირებული ინფორმაციის სისტემატიზაცია

კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტმა უზრუნველყო კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო ნაშრომების ერთიანი ბაზის შექმნა. შეიქმნა შემაჯამებელი დოკუმენტი, სადაც გაერთიანებულია 2013 წლიდან 2017 წლის ჩათვლით კავკასიის უნივერსიტეტის ბაზაზე შესრულებული სამეცნიერო - კვლევითი პროექტების მოკლე აღწერა და მომზადებული ნაშრომების ჩამონათვალი. ასევე, შეიქმნა ერთიანი ბაზა, სადაც ასახულია კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში განხორციელებულ აკადემიურ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია. აკადემიური პერსონალის ბაზასთან



ერთად, შეიქმნა მონაცემთა ბაზა, რომელიც მოიცავს კავკასიის უნივერსიტეტის მაგისტრანტებისა და დოქტორანტების მიერ შესრულებული სამეცნიერო ნაშრომების შესახებ ინფორმაციას. შემუშავდა სრულ შტატში ასაყვანი აკადემიური პერსონალის საკონტაქტო პირობების მეთოდოლოგია.

კავკასიის შიდა სასკოლო სტუდენტური კონფერენციების ორგანიზება

შიდა სასკოლო სტუდენტური კონფერენციების ჩატარების შესახებ კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2018 წლის 16 აპრილის № 04/02-01 ბრძანებით განსაზღვრული წესის თანახმად, დამტკიცდა შიდა სასკოლო სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების განრიგი, კონფერენციაში მონაწილეობისთვის განსაზღვრული ბონუს ქულების მინიჭების წესი, თითოეულ სკოლას სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების ჩასატარებლად გამოეყო თანხა 300 ლარის ოდენობით. კავკასიის შიდა სასკოლო სტუდენტურ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს 8 სკოლის სტუდენტებმა.

მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი 2018

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით ყოველწლიურად იმართება მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი. კავკასიის უნივერსიტეტი ჩაერთო აღნიშნულ ფესტივალში, რომელიც მიმდინარეობდა 2018 წლის 22 სექტემბრიდან 29 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში. მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ფარგლებში კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტის მონაწილეობით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: საჯარო ლექცია, ღია კარის დღე, წიგნის პრეზენტაცია, გამოფენა, სამუშაო შეხვედრა [workshop] - სტარტაპ იდეების გენერირება, ჰაკათონი.

Erasmus + -ის ფარგლებში დაფინანსებულ პროექტებში მონაწილეობა

Erasmus +-ის მიერ დაფინანსებული პროექტის „Raising Research Capacity of Georgian HEIs through Developing R&D Units / HERD“ განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, მომზადდა გრანტების და აკადემიური პროცესის მენეჯმენტის ოთხი პროგრამული უზრუნველყოფის (Software) შედარების დოკუმენტი.

პროგრამული აკრედიტაციის კვლევით სტანდარტებთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს მომზადება

კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტმა უმაღლესი განათლების აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად, მოამზადა უსდ-ს მიერ განხორციელებული საქმიანობის ანგარიში, რომელიც დაეხმარება სკოლებს პროგრამულ აკრედიტაციასთან დაკავშირებული თვითშეფასების კითხვარების შევსებაში.

AACSB-ის (Association to Advance Collegiate Schools of Business) მენტორის კავკასიის უნივერსიტეტში ვიზიტის ფარგლებში სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა



კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტმა მოამზადა შესრულებული და დაგეგმილი აქტივობების შესახებ ანგარიში AACSB-ის (Association to Advance Collegiate Schools of Business) მენტორის კავკასიის უნივერსიტეტში ვიზიტის ფარგლებში, ასევე, აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის განაწილების პროექტი (ქართულ და ინგლისურ ენაზე).

ეროვნულ საგრანტო კონკურსებში კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მონაწილეობა

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ადმინისტრირებული საგრანტო კონკურსების ფარგლებში დაფინანსდა 5 პროექტი.

ფუნდამენტური კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი - ორი პროექტი:

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ჯილდო 2018 წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერთა და მეცნიერთა ჯგუფებისთვის - ტექნოლოგიებსა და საინჟინრო მეცნიერებებში მოღვაწე წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერი - მაქსიმ იავიჩი;

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის ერთობლივი „Rustaveli-DAAD“-ის სასტიპენდიო პროგრამის საგრანტო კონკურსი - პროექტის ხელმძღვანელი: ერეკლე პირველი;

„ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა „ჰორიზონტი 2020“-ში საქართველოს მეცნიერთა მონაწილეობის ხელშეწყობა“ სახელმწიფო საგრანტო კონკურსი - პროექტის ხელმძღვანელი: ერეკლე პირველი.

კავკასიის უნივერსიტეტში არსებული სადოქტორო პროგრამები

- კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა - საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა
- კავკასიის სამართლის სკოლა - სამართლის სადოქტორო პროგრამა
- კავკასიის სადოქტორო სკოლა - მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამა, ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა

2018 წელს კავკასიის უნივერსიტეტში დაცული სადოქტორო შრომები : კავკასიის სამართლის სკოლა - 2 ნაშრომი

2019 წლის იანვარი-თებერვლის თვეში კავკასიის უნივერსიტეტში დაცული სადოქტორო შრომები: კავკასიის სადოქტორო სკოლა- 1

კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური / სამეცნიერო პერსონალის ავტორობით 2018 წელს გამოქვეყნდა 8 ნაშრომი



სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი

კავკასიის უნივერსიტეტის და მასში შემავალი თითოეული სკოლის მდგრადი განვითარების მიზნით, შეიქმნა სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი. შემუშავდა და დამტკიცდა დეპარტამენტის დებულება. სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიზნებია:

1. უზრუნველყოს უნივერსიტეტის ეფექტური და ეფექტიანი ფუნქციონირება შიდა და გარე ფაქტორების ანალიზის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბების, შესრულებული სამუშაოს ეფექტური მართვის სისტემის შექმნითა და ინდიკატორების მონიტორინგის სისტემის დანერგვით;
2. უზრუნველყოს შემუშავებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების იმპლემენტაციის ხელის შეწყობა, კონტროლი და მონიტორინგი;
3. ამ მუხლით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, დეპარტამენტი თანამშრომლობს უნივერსიტეტის სკოლებთან, დეპარტამენტებთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებელ ორგანიზაციებთან, ლოკალურ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

დეპარტამენტის აქტივობები

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ დაიწყო დეპარტამენტის თანამშრომლების შერჩევის პროცესი.

კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმართულების ჩამოყალიბება

შიდა კვლევის და შეხვედრების საფუძველზე სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ იქნა ჩამოყალიბებული კავკასიის უნივერსიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები.

სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია

სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ შემუშავდა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიის მიზანს წარმოადგენს კავკასიის უნივერსიტეტში სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ეფექტური წარმართვის ხელშეწყობა, რომელიც მოიცავს სტრატეგიული განვითარების (7 წლიან) და სამოქმედო (3 წლიან) გეგმის შემუშავებას, მათი შესრულების მუდმივ შეფასებას და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით მათ სრულყოფა-განახლებას.



სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახური

სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახური ფუნქციონირებს შემდეგი მიზნების განსახორციელებლად: უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მართვის ხელშეწყობა, სტუდენტთა რეგისტრაცია, სტუდენტთა მონაცემთა ბაზების წარმოება, კონტიგენტის შემადგენლობის (სტუდენტური სტატუსების) და მობილობის პროცესის მართვა, აკადემიური მოსწრების აღრიცხვა და შედეგების დაანგარიშება, კურსდამთავრებულთათვის დიპლომების დამზადება და გაცემა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა პირადი საქმეების წარმოება. სამსახურის საქმიანობა სენსიტიურია ვადებთან მიმართებაში და ითხოვს მონაცემების სიზუსტეს და დათქმულ ვადაში შესრულებას.

ძირითად ფუნქციები და შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ განხორციელებულ ქმედებები:

ვაკანტური ადგილების გამოცხადების, სტუდენტთა მიღებისა და ჩარიცხვის პროცესი 1. ბაკალავრიატი

ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის ადგილების გამოცხადების ვადაა 15 დეკემბერი, ამ დროისათვის უნდა მოხდეს არსებული და მისაღები კონტიგენტის განსაზღვრა. შესაბამისად მომზადდა და გაიგზავნა ანკეტა კითხვარი 1420 ვაკანტური ადგილით.

წინა წლის ანკეტა-კითხვარში (2018 წლის მიღება) მითითებული იყო 1190 ადგილი, საიდანაც სექტემბერში უნივერსიტეტმა მიიღო 998 სტუდენტი - სამსახურმა შეაგროვა ყველას პირადი საქმე, მიაწვია უნიკალური კოდი, პირადი მონაცემები ასახა ბაზაში და შეინახა არქივში.

2. მაგისტრატურა

მაგისტრატურის ვაკანტური ადგილების ასახვა ხდება თებერვალში და კორექტირება სექტემბერში, NAEC-ის სპეციალურ ელექტრონულ პორტალზე. შესაბამისად, უკვე აისახა სასურველი მისაღები კონტიგენტი-415, რომლის საჭიროების მიხედვით კორექტირებასაც სამსახური მოახდენს (ან არ მოახდენს) სექტემბერში.

წინა წლის ანკეტა-კითხვარით (2018 წლის მიღებისათვის) გაგზავნილი იყო 455 ადგილი, აღნიშნული რიცხვიდან სექტემბერში უნივერსიტეტმა მიიღო 170 სტუდენტი - სამსახურმა შეაგროვა ყველას პირადი საქმე, მიაწვია უნიკალური კოდი, პირადი მონაცემები ასახა ბაზაში და შეინახა არქივში.



3. დოქტორანტურა

სადოქტორო პროგრამებზე მიღების გამოცხადება ხდება უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით. წელს მხოლოდ სამართლის სადოქტორო პროგრამაზე ჰქონდა უნივერსიტეტს მიღება - 6 სტუდენტი.

4. გარე მობილობა

2018 წლის შემოდგომის მობილობა - უნივერსიტეტმა მიიღო 58 სტუდენტი, გადავიდა 144

2018 წლის შემოდგომის რიგგარეშე მობილობა-შავი ზღვა - გადმოვიდა 33 სტუდენტი
2018 წლის შემოდგომის რიგგარეშე მობილობა-ოქტომბერი - უნივერსიტეტმა მიიღო 7 სტუდენტი

2018 წლის შემოდგომის რიგგარეშე მობილობა-ნოემბერი - მობილობა-ოქტომბერი - უნივერსიტეტმა მიიღო 1 სტუდენტი

2019 წლის გაზაფხულის მობილობა - გადმოვიდა 24 სტუდენტი, გადადის 111 სტუდენტი

5. შიდა მობილობები

შიდა მობილობა ცხადდება წელიწადში ორჯერ და დაკავშირებულია სწავლის დაწყების ვადებთან, ამ ეტაპზე მიმდინარეობს პროცესი, განხილულია 85 განცხადება და პროცესშია დაახლოებით ამდენივე განცხადება.

6. უცხო ქვეყნის კვოტით ჩარიცხვა

საანგარიშო პერიოდში 11 პროგრამაზე ჩარიცხვა 24 სტუდენტი.

ახალი სტუდენტების პირადი მონაცემების/ჩათვლილი კრედიტების ბაზაში ასახვა და მათი პირადი საქმეების მოწესრიგება

1. უნივერსიტეტის ყველა ახალი სტუდენტი აისახება უნივერსიტეტისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ ბაზებში;
2. ბაზაში სტუდენტს ენიჭება უნიკალური კოდი (100... 200..., 300...)
3. დგება სტუდენტის პირადი საქმე, აუცილებელი დოკუმენტაციის შემადგენლობით
4. აუცილებელი საბუთები იტვირთება ბაზაშიც ელექტრონული ფორმით
5. კრედიტების ჩათვლის შემთხვევაში, ჩათვლილი კრედიტები ხელოვნურად ემატება ნიშნების ბაზაში სამსახურის უფროსის მიერ.
6. პირადი საქმეები სრულყოფის შემდეგ ინახება არქივში



ელექტრონულ ბაზებთან მუშაობა

სამსახური მუშაობს სამ ელექტრონულ ბაზასთან:

ა) უნივერსიტეტის ბაზა

ბ) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეესტრის ბაზა - www.uni.eqe.ge.

გ) NAEC-ის ონლაინ ბაზა

სტუდენტთა სტატუსები

საგნებზე რეგისტრაციის დასრულების შემდეგ ხდება რეგისტრაციების გადამოწმება, გასწორება და შესაბამისად, სტუდენტთა სტატუსების განახლება.

სტატუსების ცვლილების ასახვა ხდება სამსახურის უფროსის მოხსენებით ბარათში, რომლის საფუძველზე გამოიცემა შესაბამისი ბრძანება, ამ ბრძანების მიხედვით სტატუსები სწორდება ბაზაში.

კანონმდებლობით, წელიწადში ორჯერ ხდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეესტრიდან ინფორმაციის აღება და ამის საფუძველზე გრანტების ჩარიცხვა, შესაბამისად ამ დროისათვის ყველა სტატუსი უნდა იყოს გასწორებული.

რეიტინგების დათვლა

ყოველი სემესტრის ბოლოს, როდესაც ყველა მიმდინარე ნიშანი შედის სისტემაში, სამსახურის მიერ ითვლება სტუდენტთა რეიტინგები სკოლების, კურსებისა და სპეციალობების მიხედვით, მზადდება რეპორტები ექსელის ფორმატში და შესაბამისი შენიშვნებითა და აღნიშვნებით ეგზავნება სკოლებს რეაგირებისათვის.

თუ ეს არის წლიური მონაცემები - სკოლების მიერ მზადდება დასაფინანსებელი სტუდენტების სია, სემესტრული მონაცემები, როგორც წესი, ემსახურება გაცვლითი პროგრამების კონკურსებს.

პოტენციურ კურსდამთავრებულთა სიის დადგენა

რეიტინგების დათვლის შემდეგ, სკოლებთან ერთად დგინდება პოტენციურ კურსდამთავრებულთა სია. ხდება მათი გადამოწმება აკადემიურ, ფინანსურ თუ საბიბლიოთეკო დავალიანებებზე. თუ ყველაფერი წესრიგშია, სკოლების მიერ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი აკადემიური ხარისხი, რის შემდეგაც მათზე იბეჭდება და გაიცემა დიპლომი კანონის მოთხოვნების შესაბამისად.



2018 წლის გაზაფხულის სემესტრის დასრულების შემდეგ დაიბეჭდა 229 დიპლომი მიმდინარე მომენტში დასაბეჭდად მზადაა 17 დიპლომი, სემესტრული ნიშნების ასახვის შემდეგ მათი რაოდენობა გაიზრდება.

მიმდინარე საკითხები

1. სტუდენტთა განცხადებების განხილვაში მონაწილეობის მიღება;
2. ნიშნების ფურცლების დამზადება;
3. მობილობისათვის პირადი საქმეების მომზადება;
4. უცხოელი სტუდენტების მიღების პროცედურაში მონაწილეობა;
5. განათლების სამინისტროსათვის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისათვის, შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის, სამხედრო კომისარიატებისათვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროსათვის და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებისათვის წერილების მომზადება სტუდენტთა სტატუსის, აკადემიურ მოსწრების, სწავლის ფაქტის ან დიპლომის ნამდვილობის დადასტურების შესახებ;
6. სტატისტიკის დეპარტამენტისათვის ყოველწლიური ანგარიშის მომზადება;
7. სტატისტიკური მონაცემების დამუშავება სხვადასხვა სააკრედიტაციო პროცესებისათვის;
8. სასწავლო ბრძანებების მომზადება სტუდენტთა პირადი შემადგენლობების შესახებ
9. ხელშეკრულებების ჩაბარება-დაარქივება



კარიერული განვითარების და დასაქმების ხელშეწყობის სამსახური

კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის სამსახურის ძირითადი საქმიანობაა წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო კომპანიებთან თანამშრომლობის გადრმავება, მათთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება, სტაჟირების, სტიპენდიის და სხვა წამახალისებელი პროექტების განხორციელება პარტნიორი ორგანიზაციების ინიციატივით, მაღალი ხარისხის მომსახურება და სწრაფი უკუკავშირი დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან/ალუმნებთან, სტუდენტების მაქსიმალური მოზიდვის მიზნით დამსაქმებლებისთვის კონსულტაციის გაწევა, კარიერული განვითარების ფორუმებში მონაწილეობის მიღება, უნივერსიტეტის დასაქმების სამსახურის საქმიანობის წარმოჩენა შეხვედრებზე, რეკომენდაციების გაცემა დამსაქმებლის მიერ შერჩეულ კანდიდატებზე, მუდმივი კომუნიკაცია დამსაქმებლებთან, საგანმანათლებლო პროგრამებში მათი ჩართულობა და პროგრამის განვითარების მიზნით მათი რეკომენდაციების გათვალისწინება, სტუდენტებისთვის გაწეული ინდივიდუალური კონსულტაციები სააპლიკაციო დოკუმენტებთან და შერჩევის პროცედურებთან დაკავშირებით, სკოლების დახმარება მათი პროფილის მქონე ორგანიზაციებთან დაკავშირებაში, სტუდენტების პრაქტიკაზე განაწილებასა და დასაქმებაში.

საანგარიშო პერიოდში კავკასიის უნივერსიტეტის კარიერული განვითარების და დასაქმების ხელშეწყობის სამსახურის საქმიანობის ძირითადი შედეგებია:


- CU მეილ ჯგუფები. სასწავლო პროგრამების მიმართულებების, წლების და კურსების მიხედვით დალაგებული სამიზნე ჯგუფები სასურველი კანდიდატის მოძიების პროცესის გამარტივების მიზნით;
- სახელფასე განაკვეთთან და სამუშაო გამოცდილებასთან მიმართებაში შიდა სტანდარტების განსაზღვრა;
- 2017 წლიდან - დღემდე გაგზავნილი 2016 უნიკალური წერილი (შეთავაზება) სადაც თითოეული წერილი შეიცავდა როგორც ერთ, ისე რამდენიმე დასაქმების ან სტაჟირების შესაძლებლობას;
- ჯამში 129 გაფორმებული მემორანდუმი ხოლო 2018 წლიდან - დღემდე გაფორმებულია 45 მემორანდუმი;
- სკოლების დახმარება პროფილური სასწავლო პრაქტიკის გავლის მიზნით პარტნიორების მოძიებასა და მემორანდუმების გაფორმებაში;
- წლის განმავლობაში ათობით წამყვანი ორგანიზაციის მასპინძლობა;



- CV-ის წერის და გასაუბრების ტექნიკებზე წელიწადში მინიმუმ 2-ჯერ შეხვედრების ორგანიზება;
- სასწავლო სტიპენდიის (Scholarship) მოპოვების პროგრამები (Credo, JTI, ESOMAR, NETCREDIT)
- ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამები (BIG 4 და ახლა უკვე წამყვანი ბანკები და საერთაშორისო ორგანიზაციები)
- უნივერსიტეტებს შორის სხვადასხვა ინტელექტუალური შეჯიბრის გამართვა (Deloitte - FREE, EY -CSB; BAT- CSB, TBSC) მიმდინარე პროექტები: პალიტრა L, გორგია, მაკდონალდსი და აშ.
- გამარჯვებულის საჯაროდ აღიარების პროექტები (ალიანს ჯგუფი, JTI)
- ოფის ტურების მოწყობის ორგანიზება; (თეგეტა, EY);
- სასერტიფიკატო გრძელვადიანი კურსები/მასტერკლასები დაფინანსება; (ალიანს ჯგუფი, საჯარო აუდიტის ინსტიტუტი)
- პროგრამების შესწავლა კრედიტის ფარგლებში (BDO საბუღალტრო პროგრამა)

კურსდამთავრებულებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგები

გამოკითხულთა რაოდენობა: 380



ლოგისტიკის სამსახური

ლოგისტიკის სამსახურის ძირითადი ფუნქციებია: უნივერსიტეტის შენობის მოვლა-პატრონობას, დასუფთავებას, სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის უზრუნველყოფას და კომპეტენციის ფარგლებში მიმდინარე რემონტის ჩატარება, უნივერსიტეტის ქონების დაცვა, სხვა ქვედანაყოფებთან ერთად უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებასა და განვითარება, სამსახურში ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიღება, განაწილება და კონტროლი, ინვენტარიზაცია, უნივერსიტეტის ელექტროქსელის, გათბობა-ვენტილაციის, სიგნალიზაციის სისტემის მოვლას, უსაფრთხოების, მათ შორის ხანძარსა და სხვა მოთხოვნების ნორმების დაცვას, საფრთხის შემთხვევაში მომხდარის თაობაზე საჭიროებისამებრ უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვის მიმართვა, კომპეტენციის ფარგლებში ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესში მონაწილეობა და სხვა.

დასუფთავების სამსახური

დღიურად: კაბინეტები, ბიბლიოთეკა, გამშვები პუნქტი, ეზო, ბაღი, პარკინგი
დღეში რამდენჯერმე: აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზი, დერეფნები, სველი წერტილები, სასადილო, კაფეტერია

ღონისძიებების მხარდაჭერა

დასუფთავება, ინვენტირება, ელექტრო მომარაგება

გამწვანება

გეგმიური მოვლა, ბალახის შეკრეჭვა, მორწყვა, შეწამვლა, შადრევნის გაწმენდა შეკეთება

ინვენტირება და ტექნიკური აღჭურვილობა

საკლასო ოთახები, კაბინეტები, დერეფნები, დარბაზი და სხვ.

პერმანენტული სამუშაოები

რა? სად? როდის?, კურსდამთავრებულთა ღონისძიების ტექნიკური გამართვა, აბიტურიენტებთან შეხვედრები, პირველკურსელთა მიღება და სხვა წინასწარ დაგეგმილი ღონისძიებები



პოპულარული პრობლემები

საკეტების შეცვლა, მერხები/სკამები, ფანჯრის რეგულირება, კლასებში ელ. გაყვანილობა, გათბობა/კონდენცირება, სველი წერტილები

ელ. მომარაგება - გენერატორი

ორი წყარო: ქალაქი, გენერატორი (12 წამი)

სრული დატვირთვა შენობის (გარდა გათბობა/კონდენცირება, ლიფტი)

პერსონალის გადამზადება

3 თანამშრომელი გადის შრომის უსაფრთხოების ტრენინგს



საერთაშორისო აკრედიტაციის სამსახური

საერთაშორისო აკრედიტაციის სამსახურის მიზანია უზრუნველყოს უნივერსიტეტის, მისი სკოლებისა და/ან საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაციის პროცესის წარმართვა-გამდოლა, განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის კონტროლი და მონიტორინგი, უზრუნველყოს უნივერსიტეტის, მისი სკოლებისა და/ან საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო თუ ადგილობრივ რეიტინგებში მოხვედრა და პროგრესი. სამსახური თანამშრომლობს უნივერსიტეტის სკოლებთან, დეპარტამენტებთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებელ ორგანიზაციებთან, ლოკალურ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

სამსახურის აქტივობები

პირველ რიგში აღსანიშნავია რომ საერთაშორისო აკრედიტაციის სამსახურის აქტივობები, პოზიტიურად აისახა ბიზნეს სკოლის ფუნქციონირებაზე. შეიქმნა რიგი მნიშვნელოვანი დოკუმენტები როგორც სკოლის ასევე უნივერსიტეტის დონეზე. ასევე შემუშავდა და დამტკიცდა საერთაშორისო აკრედიტაციის სამსახურის დებულება.

ბიზნეს სკოლის მისიის, ხედვის, ფასეულობების და სტრატეგიული განვითარების გეგმის განახლება

ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავების ეტაპზე, სკოლაში ჩატარდა შეხვედრების სერია, როგორც ადმინისტრაციის წევრებთან, ასევე პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან. შეხვედრებს ხელმძღვანელობენ სკოლის დეკანი და საერთაშორისო აკრედიტაციის სამსახურის მენეჯერი. შეიქმნა სკოლის ფასეულობათა განაცხადი და გადახალისდა ის ფასეულობები, რომლითაც სკოლა ფუნქციონირებას აპირებს მომავალში.

ბიზნესის სკოლაში შეიქმნა უნივერსიტეტის დონის ნორმატიული დოკუმენტები. შეიქმნა კავკასიის უნივერსიტეტის პოლიტიკა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებთან მიმართებაში და კავკასიის უნივერსიტეტის თანასწორუფლებიანობისა და მრავალფეროვნების პოლიტიკა.

AACSB-ს სტრატეგიული დაგეგმვისა და ბიზნეს სკოლების აკრედიტაციის სემინარი (ათენი)



კავკასიის ბიზნესის სკოლის დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო ზემოთ ხსენებულ სემინარებში. სემინარის მსვლელობისას დეტალურად განხილულ იქნა AACSB-ს აკრედიტაციის 15 სტანდარტი, ყველა ის საკითხი რომლებთანაც სკოლას მოუწევს შეხება აკრედიტაციის პროცესის მსვლელობისას.

სტრატეგიული დაგეგმვის სემინარზე კავკასიის ბიზნესის სკოლის დეკანმა წარადგინა სკოლის განახლებული სტრატეგიული გეგმა და მიიღო სტრატეგიული გეგმის გაუმჯობესების რეკომენდაციები.

ადიზესის სემინარი და ადიზესის ინსტიტუტთან მემორანდუმის გაფორმება

15.06.2018 კავკასიის ბიზნესის სკოლამ უმასპინძლა ადიზესის ინსტიტუტის პრეზიდენტს. ჩაატარა სემინარი თემაზე «როგორ განვახორციელოთ ეფექტური ცვლილებები კომპანიაში». ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.

AACSB-ის ე.წ. მზადყოფნის აპლიკაცია (Eligibility Application)

AACSB-ს აკრედიტაციის პირველი ეტაპისთვის ბიზნესის სკოლაში შეიქმნა 37 გვერდიანი დოკუმენტი - «Eligibility Application», ასევე შეიქმნა აპლიკაციისთვის საჭირო 13 დანართი (საერთო მოცულობა-172 გვერდი). 29.05.2018 აპლიკაცია გაეგზავნა AACSB-ს კომისიას განსახილველად. აპლიკაცია განხილული იქნა AACSB-ს კომისიის სხდომაზე 27.07.2018-ში, აღნიშნულ სხდომაზე კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მიეცა კავკასიის ბიზნესის სკოლისთვის აკრედიტაციის პროცესში ჩართვის უფლება.

ITU საერთაშორისო ტელეკომუნიკაციის გაერთიანების კითხვარი/application

ITU არის გაეროს ყველაზე ხანგრძლივი ისტორიის მქონე ქვედანაყოფი, რომელიც განაპირობებს მსოფლიოში ტელეკომუნიკაციების და ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროებში პოლიტიკის წარმართვას. შევსებული და გაგზავნილი იქნა აპლიკაცია რათა კავკასიის უნივერსიტეტში გახსნილიყო ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი ე.წ. Centre of Excellence. ITU-ს ოფიციალური საპასუხო წერილში გვაცნობეს, რომ CoE-ის დაფუძნებაზე კავკასიის უნივერსიტეტში ამ ეტაპზე ვერ მოხდება. თუმცა, მზად არიან ჩვენთან სხვა ფორმით თანამშრომლობაზე.

AACSB EMEA 2018 წლიური კონფერენცია

AACSB-ს ასოციაციის მიერ ყოველ წლიურად ჩატარებული კონფერენცია მიზნად ისახავს მსოფლიოს წამყვანი ბიზნეს სკოლების კრიტიკული პრიორიტეტების და შესაძლებლობების განსაზღვრას.



კონფერენციის მსვლელობისას კავკასიის უნივერსიტეტის დელეგაცია დაესწრო სესიებსა და შეხვედრებს.

AACSB-ს მენტორის ვიზიტი

AACSB-ს მენტორი ვიზიტი შედგა 27-29.01.2019-ში. მანამდე კი დაიგეგმა მენტორის საქართველოში ჩამოსვლა, დაიწერა მენტორის სკოლაში შეხვედრების განრიგი. შეიქმნა და გადაითარგმნა საჭირო დოკუმენტები.

ვიზიტის მსვლელობისას მენტორმა ჩაატარა სამუშაო შეხვედრები უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს წევრებთან, დეპარტამენტების დირექტორებთან, ლექტორებთან.



მეწარმეობის განვითარების ცენტრის და სტატრაპაქსელერატორ C10

მეწარმეობის განვითარების ცენტრის ძირითადი ფუნქციებია უნივერსიტეტის სხვადასხვა სამეწარმეო პროექტის დაგეგმვა და განხორციელება და მეწარმეობასა და ინოვაციებზე ორიენტირებულ საქმიანობის ხელშეწყობა.

მიმდინარე წელს ცენტრმა დაიწყო შემდეგი პროექტები:

- კავკასიის ღვინის უნივერსიტეტი
- კამპუსის გაფართოება - ტერენტი გრანელის 17-ის მიმდებარედ, სამი ახალი შენობის მშენებლობა (საუნივერსიტეტო კლინიკა, შენობა ლექციებისათვის, სტუდენტური საერთო საცხოვრებელი)
- უნივერსიტეტისა და სკოლის ახალი შენობა ბათუმში

აღნიშნული პროექტების წარსადგენად მომზადდა: პროექტის მაკეტი, პროექტის პროფილის დეტალური აღწერა (პროგრამები, სტუდენტების რაოდენობა და ა.შ.), მიწის ნაკვეთის ათვისების გეგმა, ინვესტიციის ოდენობა, დასაქმებულთა რაოდენობა, საერთო საცხოვრებლის გეგმა, საშუალო სკოლის კონცეფცია და გეგმა

სტარტაპ აქსელერატორი C10

განხორციელდა პროექტები და ღონისძიებები:

- საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტთან ერთად, ცენტრი ჩართულია „ერაზმუს +“-ის საგრანტო პროექტის შემუშავებაში. საგრანტო განაცხადი გადაგზავნილია.
- 2019 წლის 27 თებერვალს გაიმართება პროექტ EUCAINVEST-ის დასკვნითი ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა სტარტაპ აქსელერატორი C10.
- სტარტაპ ეკოსისტემის განვითარებისათვის, კავკასიის უნივერსიტეტსა და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც, C10-ისა და კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტის წარმომადგენლები, უფასოდ გადიან, ესტონური აქსელერატორის ერთგვიან ტრენინგებს.

სხვა აქტივობები:

- ინოვაციების ფესტივალი - ჩატარდა ტრენინგები და ღია კარის დღე



- სახალხო დაფინანსება- სახალხო დაფინანსების პოპულარიზაციისათვის დაგეგმილი ღონისძიებები USAID-თან, პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და investme.ge-სან ერთად ჩატარდა ღონისძიებები, ტრენინგები, ვორკშოპები, კავკასიის უნივერსიტეტში, ასევე სხვა ლოკაციებზე თბილისსა და რეგიონებში.
- Kick Challenge - ჩატარდა შეხვედრები და ტრენინგი სტარტაპ კონკურსის, Kick Challenge-ის ფარგლებში.
- ლექციები და პრეზენტაციები - ცნობადობის გასაზრდელად ჩატარდა ლექციები და პრეზენტაციები უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის.
- ტრენინგები - ჩატარდა სპეციალიზებული ტრენინგები სტარტაპებისთვის.
- Team-Up ჰაკათონი - ჩატარდა ჰაკათონი ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლის სტუდენტებისათვის.
- აქსელერაციის პროცესი - მიმდინარეობს სტარტაპ გუნდებთან მუშაობა და მათი აქსელერაციის პროცესი.
- Start in Georgia 2018 - C10-მა მონაწილეობა მიიღო Start in Georgia 2018-ის გამოფენაზე, სადაც სტუმრებს მიეცათ C10-ის ერთ-ერთი სტარტაპის AR-ის (Augmented Reality) ნახვის საშუალება.
- შეხვედრა აბიტურიენტებთან - C10-მა ჩატარა შეხვედრები, ტრენინგები და ღია კარის დღეები აბიტურიენტებისათვის.
- Sevan Startup Summit - C10-მა კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტები გააგზავნა სევან სტარტაპ სამიტზე.
- ზუგდიდის სტარტაპ კვირეული - 27-29 ივნისს, ზუგდიდში სტარტაპ კვირეული გაიმართა.
- EucaInvest - C10-მა, ერაზმუს+ პროექტის ფარგლებში გააგზავნა კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტები პორტუგალიასა და ჩეხეთში, მოამზადა ისინი საკუთარი სტარტაპების წარსადგენად.
- სტარტაპ კვირეული - C10-მა მიიღო მონაწილეობა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და USAID-ის დაფინანსებულ სტარტაპ კვირეულში.
- SPARK - C10-მა აქტიური თანამშრომლობა დაიწყო მერიის აქსელერატორ სპარკთან.
- მემორანდუმი CSL-თან - C10-ს და კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლას შორის გააფორმდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი.

C10 ჩართულია მეწარმეობის განვითარების ცენტრის პროექტებზე მუშაობაში.

